ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1614275

ნომერი: AR1264593

თარიღი : 10.11.2014

გაცემის თარიღი : 03.12.2014

გაცნობის თარიღი : 04.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორია, (ნაკვ. 11/036) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952
- ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა, შესახვევი II, №21, სართული 10, ბინა №48

ორგანიზაცია:

- შპს "მევატეკ ჯე" კოდი: 404405899

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 28.10.2014 წლის #1563778 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 10 ნოემბერს #AR1264593 განცხადებით მომართა ვასილი ჯალაღონიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 28.10.2014 წლის #1563778 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.10.2014 წლის #1563778 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი–კრწანისი, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე (ნაკვ.11/036), თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.011.036) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 29 ოქტომბრიდან 2015 წლის 29 აპრილის ჩათვლით.

განმცხადებელი უთითებს, რომ 28.10.2014 წლის #1563778 ბრძანებაში არასწორად აისახა ცალკეული ფართების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ, საერთო ფართობი 5373.8 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 5421,0 კვ.მ.–ს, საცხოვრებელი ფართობი 2944.4 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 2944,6 კვ.მ.–ს, ხოლო ავტოსადგომისფართობი 703.4 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 750,4 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.10.2014 წლის #1563778 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 5421,0 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 2944,6 კვ.მ, ხოლო ავტოსადგომისფართობად მიეთითოს 750,4 კვ.მ.
2.წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.10.2014 წლის #1563778 ბრძანებასთან ერთად;
3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.